შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"

საქართველო, ქ.რუსთავი, რკინა-ბეტონის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, საიდენტიფიკაციო ნომერი: 216322619,
ტელ.: (+995) 55100 10 00 ელ.ფოსტა: irakli.irakli.1983@bk.ru

№: 06/01
06.11.2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს დაგეგმილი აქვს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობა და ექსპლუატაცია ქ. რუსთავში, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ, 13928.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს (ID ნომერი 216322619) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №02.07.02.042.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის თანახმად "ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე), რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში და დოკუმენტის ელ. ვერსია;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
თეიმურაზ ჯანგულაშვილი

შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს დირექტორი

№ 17472
"09" 11 2020